საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა.)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კომუნისტი

შაბათი, 27 ნოემბერი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა [illegible]

ფასი 10 მან.

№ 105 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და ტფილისის კომიტეტებისა. № 105

## რკინისგზელთა ყრილობა

რკინისგზელთა ყრილობა გადაიდო განუსაზღვრელ დრომდი და მაშასადამე განუსაზღვრელ დრომდი დარჩება თავის ალაგას რკინის გზის ცენტრალური კომიტეტი, რომელიც უმთავრესი პასუხისმგებელია ყველა იმ დაუდევრობა უწესრიგობა-ბოროტმოქმედებაში, რომელსაც ასე ფართოთ აქვს ადგილი მთელ რკინის გზაზე. ჩვენ უკვე გამოვაქვეყნეთ სამარცხვინო ამბები, რომელსაც ადგილი ჰქონდა რკინის გზის სასურსათო კომიტეტის მოქმედებაში. რკინის გზის კომიტეტი, ის რომ თავის ადგილზე იდგეს და უბრალო რიგიანობის გრძნობა ოდნავათ მაინც მოეპოვებოდეს, საგანგებოთ უნდა იწვევდეს ამ ამბების გამო რკინისგზელთა ყრილობას, რომელიც უმაღლესი მსაჯულია ყველა დამნაშავე და საეჭვო პირების ნამოქმედარისა. ნაცვლად ამისა, უკვე დანიშნულ ყრილობას, რომელიც სულ რამოდენიმე დღეში უნდა მოწვეულიყო, განუსაზღვრელ დრომდი სდებენ და ამით თავიდან იცილებენ მოსალოდნელ მსჯავრს.

ჭკვიანური ნაბიჯია რკინის გზის კომიტეტის მხრით, რომელიც ყრილობის გადადებით ცდილობს დროებით მაინც საქმე მიაფუჩეჩოს და უკეთესი დრო და ამინდი შეურჩიოს მომავალ ყრილობას. კომიტეტი ფიქრობს, რომ ამ განუსაზღვრელ დროში რკინის გზის მშრომელ მასსას გადაავიწყდება კომიტეტის „ღვაწლი" და „დამსახურება", რომელიც მას მიუძღვის ხაშურის და სამტრედიის მუშების მიმართ, კიკაბიძის საქმეში, თვით რკინის გზის სასურსათო კომიტეტის პანამაში და მრავალ სხვა გამოქვეყნებულ და გამოსაქვეყნებელ მოღვაწეობაში.

ასეთი იმედი, საუბედუროთ, საფუძველს არ არის მოკლებული. მთელი პრესა წინასწარ შეთანხმებული დუმილით ხვდება იმ სამარცხვინო ფაქტებს, რომლებიც ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნდა სასურსათო კომიტეტის საქმიანობის შესახებ და რომლებიც შიგ ცხვირპირში სცხებენ რკინის გზის კომიტეტს, როგორც მუშათა ინტერესების ღირს წარმომადგენელს და დამცველს. პრესის ასეთი საზიზღარი ქცევა პირველი ამბავი არ არის ჩვენს ცხოვრებაში და ის კიდეც რომ ალაპარაკდეს, მთელ ძალღონეს ამ ამბების მიფუჩეჩებას მოანდომებს და არა მათ სააშკარაოზე გამოტანას. ის გარემოება, რომ ჩვენი მკითხველი ყოველ მხრიდან ალყა-შემორტყმულია ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური გაზეთებით, კიდევ უფრო შეუწყობს ხელს, რომ რკინის გზის კომიტეტმა ყრილობის გადადებით თავისი შერყეული მდგომარეობა ერთხელ კიდევ გამოასწოროს.

ასეთია საქმის ვითარება და ამას ანგარიში უნდა გაუწიოს თვით რკინის გზის მუშათა მასსამ, მისმა ძირებმა. ისინი უნდა მიხვდნენ, რომ არავითარი მომიზეზება არ ამართლებს ყრილობის გადადებას და მობილიზაცია, „აქტიურ მუშაკების" ფრონტზე გაწვევა ისევე ვერ შეუშლის ხელს ყრილობის მოწვევას, როგორც იგი ვერ შეაფერხებს თვით რკინის გზის წესიერად მოძრაობას. „აქტიური მუშაკების" ადგილს ახალი პირები იჭერენ და თუ რკინის გზის ტეხნიკურ საქმეს ამით არა უშავდება რა, მით უფრო არაფერი წახდება, რომ რამდენიმე დღე-რამდენიმე „აქტიური" მუშაკი მოსცდეს ისეთი ღრმა მნიშვნელოვანი საქმისათვის, როგორიც არის დღევანდელ პირობებში ყრილობა.

მოითხოვეთ ყრილობის მოწვევა, მოითხოვეთ მისი ვადის ხელახლა დანიშვნა. აიძულეთ ზედანაწილები, რომ ანგარიში გაუწიონ ძირებს!

## ადგილობრივი პრესა

### ბათუმი და მესაკუთრული ფსიხოლოგია

ბათუმის საკითხის გარშემო „ერთობა"—„ბორბა" ახლა თითონ იჩენენ იმ ნერვიულობას, რომელსაც ჩვენ გვაკიჟინებენ. ისინი ამ კითხვას წვრილი მესაკუთრის თვალით უყურებენ. მესაკუთრე ფიქრობს: ნივთი ჩემია და მაშასადამე, რაცა მინდა, იმას მოვუმოქმედებ; მინდა, კარგათ გამოვიყენებ, მინდა—ცუდათ; შემიძლია სულაც მოვსპო ეს ჩემი საკუთრება და ამაში არავის დავა არა აქვს. ასეთი არის ბურჟუაზიული უფლების უმნიშვნელოვანესი დოგმე სებუდება—კერძო საკუთრება. მაგრამ აბსოლიუტური არა არის რა ამ ქვეყნად და ჩვენ ვიცით, რომ ეს უფლება გვარიანად შეზღუდულ-შეკრეჭილია მესაკუთრის საზარალოთ. მაგ. მესაკუთრემ ყანაზე გასასვლელი გზა უნდა მისცეს მეზობელს; მან თავის მამულიდან მიმდინარე წყალი იმ გზით უნდა ადინოს, როგორათაც ის ბუნებრივათ მიდის; მან მიჯნაზე ამოსული ხეხილით მეზობელიც უნდა ასარგებლოს და ან წაჰკრას მას სხვისი ყანის დამჩრდილავი ტოტები. ეს და სხვა ამ გვარი შეზღუდვანი, რომლებსაც სერვიტუტებს ეძახიან, ფარგლებს აკვეცავენ მესაკუთრის აბსოლიუტურ უფლებას, მაგრამ ის იძულებულია შეურიგდეს ამ გარემოებას. საერთაშორისო უფლების დარგშიაც დიდი ადგილი აქვს წვრილ მესაკ. იდეოლოგიებს. ბათუმი ჩემია,—ამბობს „ერთობა-ბორბა" და არავის უფლება არა აქვს მისი არც დაპყრობის და არც დაცვის. მართლაც ეს შეხედულობა სამართლიანია, თუ არ გავსცილდებით წვრილ-ბურჟუაზიულ შეხედულობას, რომლის მიხედვით ბათუმის დღევანდელ მესაკუთრეს უფლება აქვს უნდა ააშენოს ბათუმი და უნდა დააქციოს. მაგრამ ამ ქვეყნად ამ მესაკუთრის ინტერესებს გარეთ არსებობს მსოფლიო ინტერესებიც, რომელთაც თავისი გზა და კვალი აქვთ და რომელთაგან ზოგნი არღვევენ მესაკუთრის ვიწრო ინტერესს და ზოგნიც ეთანხმებიან და იცავენ მას. განა ცეცხლ-წაკიდებული სახლის პატრონი შეუშლის მეზობელს ხელს ცეცხლის დაქრობაში იმ მოსაზრებით, რომ სახლი ჩემია და რას ზარალობ თუ დაიწვის, შენ კი ჩემ სახლთან რა გესაქმება? მეზობელ სახლის პატრონს ის ესაქმება, რომ შესაძლოა ცეცხლი მის შენობაზედაც გადავიდეს და ამიტომ ის ვერ აყვება ცეცხლწაკიდებული სახლის უდარდელ პატრონს და ვერ გაიზიარებს მის ჭკუას. მას საკუთარი ინტერესი უკარნახებს თითონ ჩააქროს ცეცხლი იმ სახლში, რომლის პატრონი ამაზე რაღაც მოსაზრებით თავს არ იტკივებს.

როგორ დგას ბათუმის საკითხი? ის შესაძლოა დაიპყროს ანტანტამ და ამით შელახოს მისი მესაკუთრის—საქართველოს რესპუბლიკის ინტერესი. საბჭოთა რუსეთის ინტერესი მოითხოვს—უკუაგდოს ბათუმის დამპყრობელი და ამით დაიცვას საქართველოს ინტერესიც. „ერთობა—ბორბა" კი გაიძახიან: ჩვენმა მინისტრმა ჭანბატარაშვილმა არა იცის რა ასეთი საფრთხის შესახებ, და საბჭოთა რუსეთს რა ესაქმება. იქნებ მათ ისიც არ იცოდნენ, რომ ბათუმის დამპყრობელი ფაშები ბაქოსკენ გაითარეშებდნენ საქართველოს გზით. მაგრამ ეს ამბავი დღეს ყველამ იცის. ან კი როდის იყო, რომ არცოდნა საბუთათ გამოდგარიყოს. ან რა სავალდებულოა, რომ ბათუმის დაპყრობის განზრახვა უეჭველად მინისტრმა საბახტარაშვილმა უნდა შეიტყოს პირველად. „ერთობას" კი დაუფიქრებია—ბათუმი ჩემია და მისი ავიც და კარგიც მარტო მე უნდა მეკითხებოდესო. ის სწერს:

„კომუნისტებს რომ მოსკოვის ყოველ ცხვირის დაცემინებაზე საპროვოკაციო წერილების წერა არა ქონდეთ ხელობათ აღებული, მათი გონება მიხვდებოდა, რომ საქართველო არავის არ მიიღებს ბათუმის დამცველათაც კი, თუ წინასწარ ამის თანხმობა არ ექნა საქართველოსაგან. ეს ნიშნავს, მოქალაქე კომუნისტებო, იმას, რომ თუ მოსკოვის დიპლომატ ჩიჩერინს მართლა ქონდა სურვილი ბათუმი დაეცვა საქართველოსთვის, იგი ჯერ ამის შესახებ საქართველოს უნდა შეკითხებოდა, მისთვის გაცნობებია თავისი სურვილი ამ საგანზე დახმარების გაწევისა. და არ გამოსულიყო არამკითხე დამცველათ, რადგან ესეთი არამკითხეობა უდრის სუვერენობის დარღვევას".

ეს „არამკითხეობა" მაშინ იქნებოდა, რომ რუსეთს საკუთარი ინტერესიც არა ქონდეს ბათუმის საკითხში. მარა ხომ მოგახსენებთ, რომ თუ ბათუმის დაპყრობას ადგილი ექნა, საბჭოთა რუსეთი ცხოვლათ დაინტერესებული შეიქნება მის განთავისუფლებაში და ეს არა თუ არ არღვევს საქართველოს სუვერენობას, პირიქით მას იცავს და ამტკიცებს. რუსეთი „ჯერ ამის შესახებ საქართველოს უნდა შეკითხებოდა"—ამბობს „ერთობა". მან შეკითხვაზე მეტიც ქნა და „ბორბა"-„ერთობამ" მაინც ვერ გამოარკვიეს—შესაძლოა თუ არა ინგლისმა ბათუმი დაიკავოს და ამაზე ლაპარაკს ის „პროვოკაციულ სიტყვებს" ეძახის. „ბორბა" იმასაც ამბობს, რომ ბათუმს ცოცხალი თავით არავის დავანებებთ და ამის გამო ისე გულმოსულია, რომ „ცილისმწამებლებს" გვიწოდებს, რაკი მასავით აბსოლიუტურ ჭეშმარიტებათ არ მიგვაჩნია ეს დებულება. თქვენმა მოწყალე ღმერთმა ქნას, რომ ბათუმის დღევანდელი პატრონები მისი თავდადებული დამცველები ყოფილიყვნენ იმ საფრთხის დროს, რომელიც ამხ. ჩიჩერინის ცნობებით ამ ქალაქს თავს დასტრიალებს. ვიცოცხლოთ და მალე გავიგებთ, ვინ არის ცილისმწამებელი და ვისი ცნობებია მართალი.

* * *

მოკლას ხარი თივამ. ბეჭდვითი საქმის პროფესიონალური კავშირის კრებაზე საგრძნობი დამარცხება იგემეს მენშევიკებმა, რომლებმაც ყველა სხვა პარტიებთან ბლოკი შეკრეს და მაინც ძლივს გაუთანასწორდენ კომუნისტების ძალებს. ამის გამო გაზ. „ერთობა" ჯარს და ჯამაათს უხმობს და „ძალ-დაუზოგველ" მუშაობისკენ მოუწოდებს ჩვენს წინააღმდეგ. მაგრამ აქ ერთი გასაკვირველი ამბავი ხდება: „ერთობა"—„ბორბა" გვპირდებიან, ამ ბრძოლაში განსაკუთრებულ რაზმს არ მოვიშველიებთო. თუ უკუღმა არ უნდა გავიგოთ ეს სიტყვები, წინდაწინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მბეჭდავთა მსგავს გამარჯვებას ძალიან ბევრს ვაგემებინებთ ბ-ნ მენშევიკებს სულ მოკლე ხანში და დავარწმუნებთ, რომ ბოლშევიზმიდან არ განკურნებულა ქართველი ხალხი. „ერთობის" ანგარიშით ლეგალური ბრძოლა ჩვენ თვითონ მოგვსპობს. ის სწერს:

„რაც მეტი ასპარეზი მიეცემა ბოლშევიკებს მუშათა მოძრაობაში, მით უკეთესია. ლეგალური ბრძოლა აუტანელია მათთვის. ისინი ვერ გაუძლებენ ამისთანა ბრძოლას".

რა კარგი იქნებოდა, რომ ამ მუქარას მართლა განახორციელებდნენ მენშევიკები და ლეგალურ ბრძოლას ჩვენთვის სავსებით ხელმისაწვდენს გახდიდენ. ამისთანა ბრძოლას ვერ გაუძლებთ—გვაფრთხილებენ მენშევიკები.—ნუ გენაღვლებათ, ბატონებო, ჩვენი ასეთი მომავალი; მოკლას ხარი თივამ.

## საბჭოთა რუსეთის პრესა

### კრიზისი დასავლეთ-ევროპის მუშათა მოძრაობაში.

როგორც მოსალოდნელი იყო, კომუნისტური ინტერნაციონალის მე-2 კონგრესი შეიქნა გამოსასვლელი პუნქტი დასავლეთ ევროპის მუშათა მოძრაობის აუცილებელი კრიზისისათვის. ამ კრიზისს მთელი მუშათა მოძრაობა გადაყავს სულ ახალ ლიანდაგზე და აყენებს მას განვითარების უმაღლეს, ახალ საფეხურზე. კონგრესმა მიიღო რეზოლიუციები არა იმიტომ, რომ ის დავიწყებიათ რამდენიმე წუთის შემდეგ. ეს ჩვეულებათ ქონდა მხოლოდ მე-2 ინტერნაციონალს. მე-2 ინტერნაციონალის გადაწყვეტილების შესახებ შეიძლება ითქვას ცოტა შეცვლილი ფრაზა: „რეზოლიუციები იმიტომ არის საჭირო, რომ ის არავინ შეასრულოსო". საერთაშორისო კომუნისტურ ორგანიზაციაში სიტყვასა და საქმეს შორის არ უნდა იყვეს არავითარი განსხვავება. და არ არის გასაკვირი, რომ კონგრესის დელეგატების „სამშობლოში" ჩასვლისას დაიწყო ფიცხელი მუშაობა პროლეტარულ აზროვნების, რამაც გამოიწვია ღრმა წინსვლა და ძალთა გადაჯგუფება. პირველ რიგში ეს ცვლილება მოხდა გერმანიის მუშათა მოძრაობაში. ამაზე ჩვენ უკვე გვქონდა წერილი. მიუხედავათ იმისა, რომ გერმანიის მემარჯვენე დამოუკიდებლები გაცხარებულ ბრძოლას აწარმოებენ „მოსკოვის პირობების" და „მოსკოვის კარნახის" წინააღმდეგ, ისინი (მემარჯვენე დამოუკიდებლები) დამარცხებას დამარცხებაზე განიცდიან. მუშათა მასსები თავის წრიდან ერეკებიან ოპორტუნისტულ ბელადებს და დამოუკიდებელ პარტიის, ამ უძლიერესს თავის წევრთა რიცხვით მთელს ევროპის მატერიკზე პარტიის წევრთა უმრავლესობა, აშკარად და დემონსტრატიულად გადმოდის კომუნისტების მხარეზე. ამით სააშკარაოზე გამოდის მთელი ის სიყალბე და [illegible] ხასიათი, რომლითაც ილაშქრებენ მემარჯვენეები მოსკოვის „ძალადობის" წინააღმდეგ. რადგან ყოველი პატიოსანი და შეგნებული ევროპის მუშა კარგათ ხედავს, რომ აქ საქმე ეხება არა „რუსულ"—ან „გერმანულ"—„აზიურ"—ან „ევროპიულ"—„მოსკოვის"—ან „ბერლინის" პროლეტარიატის მოძრაობის მეთოდს, არამედ აქ ლაპარაკია მუშათა პარტიის შორის პროლეტარულ და ბურჟუაზიულ მიმდინარეობებზე ბრძოლაში. მოსკოვი თუ ბერლინი—ეს იგივეა—ლიბკნეხტთან, თუ შეიდემან კაუცკისთან ერთად, ეს იგივეა—პროლეტარიატი თუ მოქანავე მეშჩანი, გამყიდველი წვრილი ბურჟუაზია. გერმანიის მუშათა კლასმა ეს შეიგნო, ამიტომაც ჩვენ ვეგებებით გერმანიაში აღორძინებულ კომუნისტურ ძალას და დაარსებულ ძლიერ კომუნისტურ პარტიას. ამიტომაც არის ეს აღიარებული, როგორც ძირითადი პირობა მუშათა კლასის გამარჯვებისა.

გერმანიის შემდეგ უმალ მოსდა კრიზისი იტალიის მუშათა მოძრაობაშიც. იტალიის სოციალისტურ პარტიაში უკანასკნელ დრომდის ჩვენ რეფორმისტებიც [illegible]. კომუნისტურ ინტერნაციონალის კონგრესის მიერ გამოქვეყნებულმა მკაცრმა პირობებმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, თითქოს დინამიტიანი ყუმბარა გასკდა. რეფორმისტების ბელადი ტურატი „მანიფესტით" გამოვიდა ამ პირობების წინააღმდეგ, მაგრამ თვით ცხოვრებამ ხაზგასმით დაამტკიცა კომინტერნის გადაწყვეტილების სრული სისწორე და აუცილებლობა. მოხსენებულმა ამბებმა ნათლად დაგვანახვეს რეფორმისტების საქმიანობა. ბურჟუაზიასთან კლასიური ბრძოლის დროს, როდესაც ბობოქრობდა რევოლიუციონური ტალღები, რეფორმისტული ელემენტები მოქმედებდნენ არა მარტო, როგორც „კომპრომისტები", („პოლიტიკური მერყეობელები"—ასე უწოდებენ [illegible] მუშები „რევოლიუციის ადგილის მქრობელებს"), არამედ როგორც აშკარა მოღალატენი, რომლებიც ყოველ წუთს გადამწყვეტ ბრძოლის დროს მზათ არიან შეუთანხმდნენ მტერს და გაყიდონ მუშათა კლასის ინტერესები.

ისეთმა „ბელადებმა", როგორიც არიან დარაგონა, ტურატი, პრამპოლინი და სხვები, სამუდამოთ ამოისვარეს თავი ლაფში. ამითვე შეარცხვინეს ერთად მთელი რეფორმისტული ფრთა.

ახლა საზღვარ-გარეთიდან მოსული ცნობებით ჩვენ ვტყობილობთ, რომ ცენტრალურ კომიტეტის პლენუმზე გაიმარჯვა უკიდურეს მემარცხენე ფრთამ (იქამდის სერრატიც დამარცხდა) [illegible], რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ ტურინის ორგანიზაციის წარმომადგენლები. ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ გატარებულ იქნას ცხოვრებაში კონგრესის დადგენილება—რეფორმისტების პარტიიდან აუცილებლათ განდევნის შესახებ. პარტიაში აუცილებლად მოხდება განხეთქილება. მაგრამ სწორედ ამიტომ გამოირკვევა ის, მთელი ინტელიგენტურ-წვრილ ბურჟუაზიული მეშჩანები, მთელი რეფორმისტული ფრთა, რომლებიც ფეხის ყოველ გადადგმაზე ყიდიან მუშათა ინტერესებს,—იქნებიან განდევნილნი პარტიიდან და ამით პარტიას საშუალება მიეცემა ისეთ გზას დაადგეს, როგორზედაც უნდა იდგეს ის.

პარტია კი უნდა იყვეს ბრძოლის ხელმძღვანელი, მასსიურ რევოლიუციის ბელადი და ბურჟუაზიის წინააღმდეგ აჯანყებულ პროლეტარიატის ხელმძღვანელ-სარდალი. ასეთ პირობებში აუცილებელია, რომ პარტიაში შევიდნენ ისეთი ახალი ელემენტები, რომლებიც აქამდის არ იყვნენ პარტიაში, რადგან იქ ბატონობდნენ რეფორმისტები.

იტალიის პროლეტარიატი განახლებულ პარტიის სახით ეძლევა ისეთ ბელადს, როგორიც უნდა ყავდეს მას. ანალოგიური პროცესი იწყება სხვა ქვეყნების ორგანიზაციებშიაც: ჩეხიაში, სკანდინავიაში და სხვაგან. ყოველგან კავშირდებიან კომუნისტური რაზმები. ამით მუშათა კლასი დგამს კიდევ ერთ გადადგმულ ნაბიჯს წინ, ჩვენი საერთო მიზნისაკენ—საერთაშორისო პროლეტარიატის დიქტატურისაკენ და ამით კი ახლო [illegible].

გაზ. „პრავდა" № 224.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაარსება, რომელიც დღეიმდი იქნებოდა ყოველგვარ კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლების წინააღმდეგ ბრძოლის.

წითელი სარდალი—ეს რევოლიუციის საუკეთესო გარანტიაა. კურსებს ორი დანიშნულება აქვს: ერთი რომ სანიმუშო ჯარის ნაწილად გახდომა და იმავე დროს სარდლის შკოლათ ყოფნა. 1918 წლის ივლისში მემარცხენე ესერების მიერ მოწყობილ აჯანყების შემდეგ დღემდე არ ყოფილა არც ერთი ბრძოლის ფრონტი, რომელშიც არ მიეღოს მონაწილეობა წითელ კურსელებს.

„ლენინის იუნკრების“, როგორც მათ უწოდებენ თეთრგვარდიელები, რისხვა იგემეს თავის თავზე დენიკინმა, კოლჩაკმა, იუდენიჩმა, ვრანგელმა და ყველა მსხვილმა თუ წვრილმა ბანდიტებმა.

როგორც სარდლების სკოლამ, ამ კურსებმა კარგი ნაყოფი მოგვცა. ამ კურსებმა გვაჩვენა ჩვენ, რომ მუშათა კლასმა მიაღწია განვითარების იმ დონემდის, როდესაც მას ყოველივე უფლება აქვს იბრძოლოს სახელმწიფოში თავის გაბატონებლად. მუშა-გლეხების სარდლები ბრწყინვალეთ იმარჯვებდენ კაპიტალისტების მიერ შედგენილ ოფიცრების ლაშქრებზე. კურსებმა თავისი ორგვარი დანიშნულება შეასრულა მეტათ მძიმე პირობებში. არის ისეთი კურსები, რომელთა ევაკუაცია ხუთჯერ-ექვსჯერ ხდებოდა, მაგრამ მუშაობა არ შეწყვეტილა.

უკანასკნელ 1920 წელს მოხდა ყველა სამხედრო სასწავლებლების გაერთიანება. მომზადების ახალ მეთოდებმა უკეთესი და ფრონტის მოთხოვნის მიხედვით შესაფერისი სარდლები მოგვცა. მოხდა უმაღლეს სამხედრო-აკადემიურ საბჭოს დაარსება, რომელიც აერთებს საველე სარდლობას და სამხედრო სასწავლებლების ხელმძღვანელ მუშაკებს.

კურსები პირველ ადგილზე იდგენ იმ დროსაც, როდესაც საბჭოთა რუსეთმა ისარგებლა დროებითი შესვენებით სამხედრო ფრონტზე და მთელი ძალები გადაიყვანა შრომის ფრონტზე. კურსებმა ამ შრომის ფრონტებზედაც პირველი ადგილი დაიკავეს. სამხედრო ფრონტებზე ჩვენი არმია იპყრობდა აგრეთვე ძველ ოფიცრობასაც. კურსებმა შესძლეს ისიც, რომ ეს ძველი ოფიცრობა გადმოიყვანეს თავის მხარეზე. ეხლა ეს ოფიცრები და კომუნისტური იაჩეიკების წარმომადგენლები - კომისრები ითვლებიან რევოლიუციონურ სამხედრო შკოლის შემქნელად. სამხედრო სპეციალისტები ასწავლიდენ კურსელებს სამხედრო საქმეს, კურსელები კი ასწავლიდენ თავიანთ მასწავლებლებს რევოლიუციის საქმეს. ხდება ურთიერთ დახმარება—თანამშრომლობა, რაც საგრძნობ დადებით შედეგებს იძლევა. სამხედრო სასწავლებლების ორგანიზაცია მეტად უბრალო და სადაა. იქედან განდევნილია ძველი კადეტთა კორპუსების წესები.

სამხედრო სასწავლებლების უფროს—ხელმძღვანელია კომუნისტი.—თეორეტიულ გამაერთიანებელი ორგანოა აკადემიური საბჭო. შემდეგ არსებობს პოლიტიკური და სამოსწავლო განყოფილებები. სამოსწავლო განყოფილებასთან არსებობს მეცნიერულ-გამომცემლობითი აპარატი. განყოფილებათა შორის აღსანიშნავია ფიზიკური განყოფილება. ძველი რუსეთის არმია ცოტა ყურადღებას აქცევდა ტანვარჯიშობას და სპორტს. ჩვენ ეს დანაკლისი ეხლა შევავსეთ. ფიზიკური განყოფილება მუშაობს სულ რამდენიმე ხანია, მაგრამ ამ დროს განმავლობაში კარგი შედეგები მოგვცა.

ერთ-ერთ შედეგთაგანია სასწავლებლების თვითმოქმედება. კურსებს აქვთ თავ-თავიანთი ჟურნალები, თავის სახელმძღვანელო წიგნები და სხვა.

პოლიტიკურ-კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა ნაყოფიერათ სწარმოებს. სასწავლებლის საყურადღებო განყოფილებაა: სალექციო ბიურო, პარტიული შკოლა და კულტურულ-განმანათლებელი სექცია.

**რუსეთი უზრუნველყოფილია ბენზინით.**

**მოსკოვი**, 16 ნოემბ. ქალაქ გროზნოში არის სათადარიგოთ შემონახული ბენზინი, რომელიც ეყოფა მთელ რუსეთს ორი წლის განმავლობაში. ცენტრალური გუბერნიების რეზერვუარები სავსეა ბენზინით. მოსკოვი მეტ ბენზინს აღარ იღებს: ზედმეტ ბენზინს უგზავნის პეტროგრადს.

**მუშათა ყრილობების შესახებ.**

**მოსკოვი**, 25 ნოემბერი. „პრავდა“ წერილში—„მუშათა ყრილობების შესახებ“ სწერს, რომ რევოლიუციამ თავისი პოლიტიკური საფეხური გაიარა: მოსპო ბურჟუაზიის ძალაუფლება და მოაწყო სახელმწიფოებრივი ძალაუფლების ახალი სისტემა საბჭოები. ჩვენ ახალი ეკონომიური საფეხურის გავლა დავიწყეთ. ჩვენ ჯერჯერობით არაფერი გაგვიკეთებია ჩვენი მრეწველობის ტეხნიკურ განვითარების სფეროში. ამჟამათ, როდესაც ჩვენ გათავისუფლებული ენერგიით მიმდგარი ვართ აღმშენებლობითი მუშაობაზე, ჩვენთვის აუცილებელია სპეციალიზაციაზე და ტეხნიკურ განვითარებაზე ვიზრუნოთ.

ჩვენ თავი უნდა მოვუყაროთ პროფესიონალურ კავშირებში მყოფ პროლეტარულ სპეციალისტებს.

**ახალი კადრები.**

**კავკაზი**, 24 ნოემბ. წითელ სარდლების კურსებზე მოსკოვს გაემგზავრა მეორე პარტია სამხრეთ ოსეთის ლტოლვილ მოხალისეებისგან შემდგარი.

**ტყვე ინგლისელების რუსეთიდან წასვლა.**

**მოსკოვი**, 25 ნოემბ. (რადიო კრასინს ლონდონში) 20 ნოემბრის ტელეგრამის საპასუხოთ: 65 კაცი ბრიტანიის მოქალაქენი იმყოფებიან ბელოოსტროვში ფინეთის საზღვარზე, სადაც მათ ჩააბარებს ბრიტანეთის მთავრობა. კიდევ ბრიტანეთის რამოდენიმე მოქალაქენი გაგზავნილია ჩვენს შიკრიკთან ერთად რიგაში. მათ რიცხვში არის აგრეთვე სპეკულიაციისათვის დატუსაღებული ემანუილ კენენი, რომლის სამშობლოში დაბრუნებისათვის ზრუნავდა ბრიტანეთის ელჩი.

**გიპს-ალიბასტრის ქარხანა.**

**ბაქო**, 20 ნოემბერი. აზერბეიჯანის სახალხო მეურნეობის საბჭოს მიერ მიღებულ ზომებით ერთი გიპს-ალიბასტრის ქარხანაში მუშაობა დაიწყო.

**საბჭოების არჩევნები.**

**ბაქო**, 20 ნოემბერი. აზერბეიჯანის კომუნისტურ პარტიის ბაქოს კომიტეტის და მუშათა დეპუტატების საბჭოს დადგენილებით 1 დეკემბრიდგან იწყება მუშათა წითელ არმიელთა და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ხელახლა არჩევნები, აგრეთვე ყოფილ ბაქოს მაზრის სოფლებში გლეხთა დეპუტატების საბჭოების არჩევნები.

**სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება.**

**მოსკოვი**, 25 ნოემბერი. (რადიო). ერთი წლის წინათ სახალხო კომისართა საბჭომ მახლობელ მიზნათ დაისახა მრეწველობის მხრივ განვითარებულ სახელმწიფოს ტეხნიკურ ძალთა და მატერიალური საშუალებების მოზიდვა. ეს გამოწვეულია იმ მიზნით, რომ აღადგინონ რუსეთში ნედლი მასალის მთავარი ბაზა, როგორც თავის მსოფლიო მეურნეობის აღსადგენათ, აგრეთვე მსოფლიო ომის მიერ განადგურებულ საწარმოვო ძალთა განსავითარებლათ. ევროპის ზოგიერთ ქვეყნებში ძალიან მცირეა ნედლი მასალა და ბევრია თავისუფალი კაპიტალი, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ასეთი მდგომარეობა აიძულებდა უცხო კაპიტალს მიემართნა საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობისათვის კონკრეტიულ წინადადებით ამა თუ იმ პირობებით მიიზიდოს საზღვარ გარეთელი კაპიტალი რ. ს. ფ. ს. რ. ოლქების სიმდიდრის გამოსაყენებლათ. ამ დროებით რ. ს. ფ. ს. რ. აქვს მთელი რიგი კონკრეტიულ წინადადებისა რუსეთის ბუნებრივი სიმდიდრის კონცესიით დამუშავების შესახებ,—როგორიც არის მაგალითად ის, რომ წინადადება მიეცეს თავისუფალ სახნავ მიწებს ტრაქტორებით დასამუშავებლათ; არის აგრეთვე წინადადებები მრეწველობის ამა თუ იმ დარგის დამუშავების შესახებ.

რათა აღდგენილ და გაძლიერებულ იქნას რესპუბლიკის წარმოება და მისი მსოფლიო მეურნეობა, სახალხო კომისარიატის საბჭომ დაადგინა გამოაქვეყნოს კონცესიის შემდეგი პირობები: 1) კონცესიებს უფლება ეძლევა ნაყოფის ნაწილი მიიღოს საზღვარგარეთ გატანის უფლებით, რაც აღნიშნული იქნება ხელშეკრულებაში; 2) კონცესიებს უპირატესობა ექნება მანქანების დამზადებაში, მსხვილ „ზაკაზების“ შესრულება და სხვ. 3) იმის მიხედვით, თუ რა ხასიათის იქნება კონცესიები,—უკანასკნელთა პატრონებს გარანტია მიეცემათ უზრუნველყონ თავიანთი დაბანდებული ტეხნიკური საშვალებანი და კაპიტალი, 4) საბჭოთა მთავრობა გარანტიას იძლევა, რომ წარმოებაში დაბანდებული ქონების რეკვიზიცია, ნაციონალიზაცია და კონფისკაცია არ მოხდება; 5) კონცესიონერებს უფლება ეძლევათ დაიქირავონ მუშები და მოსამსახურეები თავიანთ წარმოებისათვის რ. ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მხოლოდ დაცულ უნდა იქნას არსებული შრომის კანონი, ან და სოციალური ხელშეკრულება უნდა დაიდვას მუშა-მოსამსახურეებთან, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება მუშების საარსებო ინტერესები.

# რევოლიუციის ფრონტებზე

**კონტრ-რევოლიუციონური ლტოლვილები.**

**მოსკოვი**, 28 ნოემბერი. (რადიო). კუნძულ ელისი (ნიუ-იორკთან) გაჭედილია ემიგრანტებით. სხვა ევროპიელთა მილიონები მიისწრაფიან ამერიკაში. გემთა კომპანიის წარმომადგენელმა განაცხადეს, რომ მომავალ წელს ყველა ადგილები ხომალდებზე უკვე დაკავებულია. სამ თუ ოთხი მილიონი იტალიელი აწყდებიან ამერიკას. სამი მილიონზე მეტ პოლონელთ სურთ აგრეთვე იქ გადასახლება.

**საბერძნეთის ამბები.**

**მოსკოვი**, 26 ნოემბერი. (რადიო) ათინაში მოხდა მღელვარე მანიფესტაციები. დემონსტრანტთა მასსებით ქუჩები აივსო და გაისროლეს ჰაერში რევოლვერები და თოფები. საბერძნეთის მთავრობამ გასცა ბრძანება ყველა ტუსაღთა განთავისუფლების შესახებ.

## ოპერატიული რადიო-ცნობა რესპუბლიკის საველე შტაბის რევოენსოვეტისა 25 ნოემ.

**მოსკოვი**, 26 ნოემბერი. მოზირის რაიონში ჩვენი წითელი ჯარები მისდევენ ბულაკ-ბალახოვიჩის ცხენოსანთა ნაშთებს და მის ფეხოსანთა გაფანტულ ნაწილებს იპყრობს.

ოვრუჩის ჩრდილო-დასავლეთით მტრის დევნა გრძელდება. წამოვასხით 440 ტყვე და მივიღეთ 22 გამოქცეული.

რესპუბლიკის რევოენსოვეტის საველე შტაბის ვოენკომის მაგიერ კლიმი.

**კორეის მეამბოხენი**

**ვერხნეუდინსკი**, 5 ნოემ. იუწყებიან, რომ კორეის რევოლიუციონერების ნაწილი, დაახლოვებით ათასი კაცი, კოხონდოს მთავარსარდლობით მდინარე იალუს გასწვრივ მოქმედობენ. კოხონდო რეგულიარულ არმიას აწყობს, რისთვისაც საინანდრის რაიონში სამხედრო კონტრიბუციას ჰკრებს. მეორე ბელადს, ლიხანტსიოს თავის განკარგულებაში ყავს დაახლოვებით 50 კაცი და იმავე ადგილებში იმყოფება. იუწყებიან, რომ ორივე ბელადმა სიმაგრეები ააგეს.

კორეის რაზმებს, რომლებიც ცინდაოში მოქმედობენ, კარგი სამხედრო ორგანიზაცია აქვთ. მათ შორის კორეიელ ოფიცერთა რიცხვი ბევრია, რომლებმაც სპეციალურ სამხედრო სკოლაში მიიღეს მომზადება. ეს სკოლა, რომელიც ცინდაოში იყო, იაპონელთა ჯარების შემოსვლისას დახურეს. ამ სკოლიდან 500 კორეიელი ოფიცრები გამოვიდა: ამ ჟამათ სოფლებში კორეის ახალგაზრდობას წვრთნიან. ანტიიაპონურ მოძრაობაში უახლოეს მონაწილეობას ღებულობენ კორეიელი ქალებიც.

# საბჭოთა აზერბეიჯანში

**ოსმალეთი და ინგლისი.**

**ბაქო**, 22 ნოემბერი. ოსმალეთის უმაღლეს ნაციონალურ კრების დიპლომატიურმა წარმომადგენელმა აზერბაიჯანში, მემდუხ შევქეთ-ბეიმ განაცხადა, რომ სტამბოლის კაბინეტის ცვლილება გამოწვეულია ანტანტის ინტრიგის გამო, რომელიც ცდილობს შეიტანოს განხეთქილება ოსმალეთის ხალხთა შორის, რომლებიც იბრძვიან სამშობლოს განსათავისუფლებლად. სტამბოლის ახალი მთავრობა—სათამაშო ბურთია ინგლისის ხელში. ინგლისთან ზავი ნიშნავს ოსმალეთის ხალხის დაჩაგვრას და დამონებას. ოსმალეთის ხალხმა ეს იცის და კიდეც არ უნდა ზავი ინგლისთან.

„სტამბოლში“ ოსმალეთის მთავრობა კი არ არის—არამედ ინგლისის დამქაშებია.

ბოსფორში დგას ინგლისის 5 დრედნოუტი, რას წარმოადგენს ამ დროს სტამბოლის მთავრობა? ანგორისა და სტამბოლის მთავრობის შორის ზავი წარმოუდგენელია.

ანგორის მთავრობის მთავარი ამოცანაა განთავისუფლდეს ანტანტის ეკონომიურ და პოლიტიკურ ბრჭყალებისაგან, ინგლისი რომ წავიდეს დათმობაზე, მაინც არ გვაქვს ჩვენ არავითარი გარანტია, რომ ის შეასრულებს თავის დანაპირებს. ზავის შეკვრა სტამბოლის მთავრობასთან და ინგლისთან, ნიშნავს ჩვენს დამონებას და დაბეჩავებას.

## აზერბაიჯანში

**ბაქო**, 24 ოქტ. ლენქორანში საბჭოთა მთავრობის ორგანიზაციის საქმე კარგად მიდის. მუშაობას აწარმოებს რევოლიუციონურ კომიტეტის განყოფილება. სახალხო მეურნეობის საბჭომ გახსნა სხვა და სხვა სახელოსნოები. ადგილობრივათ აგიტაციის გასაწევათ გაემგზავრებიან ლენქორანის რევოლიუციონური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები.

**კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის კონფერენცია.**

**ბაქო**, 22 ნოემ. 20 ნოემბერს ბაქოში მოხდა საქალაქო კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის კონფერენცია. კონფერენცია ბერლინის კონგრესის წლის თავის აღსანიშნავათ მოხდა.

# დღიური.

მოზირის რაიონში წითლები განაგრძობენ ბალახოვიჩის ბანდების დევნას. ტყვეთ წაიყვანეს 440 კაცი.

ათინაში დემონსტრაციები მოხდა. დემონსტრანტები ხროლილობდენ ჰაერში თოფებს და რევოლვერებს. მთავრობამ გასცა ბრძანება გაანთავისუფლონ ყველა პატიმრები.

საფრანგეთის მთავრობა ვრანგელის დამარცხების შემდეგ მორბილდა. ის მომხრეა ახლა საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულებების აღდგენისა.

რატიბორში გამოცხადებულია საყოველთაო გაფიცვა. მთელი ქალაქი წყვდიადშია გახვეული. გაზეთები არ გამოდის.

გერმანიაში დგება ახალი სამინისტრო, რომელშიაც არ შევლენ არც დამოუკიდებლები და არც პან-გერმანისტები.

# საქართველოში

— **განა ამიტომ გადადვეს?** რკინის გზელთა ცენტრალურმა მართველობამ, გაუწია რა ანგარიში შექმნილ მდგომარეობას და აქტიურ მოხელეთა ჯარში გაწვევას, დაადგინა: რკინის გზის მოსამსახურეთა და სახელოსნოებში მომუშავეთა დელეგატების მესამე ყრილობა დროებით გადასდოს.

— **ცვლილებები მთავრობაში.** გაზეთი „მიწა“ იტყობინება: მთავრობის შემადგენლობის ცვლილებათა განცხადებას დამფუძნებელ კრების მორიგ სხდომაზე მოელიან.

დანამდვილებით გამორკვეულია, რომ მიდის ნ. ხომერიკი, გ. ერაძე და რ. არსენიძე, რომელთა წასვლის შესახებ ბევრი ლაპარაკი იყო, რჩებიან.

ცალკე სამინისტროდ გამოყოფილია განათლების სამინისტრო, მის მეთაურად ასახელებენ ეხლანდელ სამხედრო მინისტრს გ. ლორთქიფანიძეს.

სამხედრო მინისტრად კი ასახელებენ ნ. რამიშვილის ამხანაგს ექიმ პ. პერტენაძეს ან ზენიპ ჩხოტუაშვილს.

— **ნავთი.** ბაქოდან თბილისში გამოვიდა პირველი სამარშრუტო მატარებელი ნავთით.

— საგარეო საქმეთა სამინისტრომ გენერალ ყარალაშვილისაგან ერევნიდან ა. წ. 22 ნოემბერს მიიღო დეპეშა, სადაც აღნიშნულია სომხეთში პირველი მოთხოვნილების საგნებზე არსებული ფასები. ამ დეპეშის თანახმად მარილი ღირს 2000 მან., შაქარი—7000 მანეთი გირვანქა; პური—900 მან. გ., ხორცი—1400 მ. გ., კვერცხი—300 მ. ცალი, ჩაი—28000 მან. გ., შეშა—7000 მ. ფუთი, ბრინჯი—2200 მ. გირ., კომბოსტო—300 მან. გირ., ხახვი—600 მ. გ., კარტოფილი—900 მან. გირ., კარაქი—7000 მ. გ., ნავთი—5000 მან. გირ., დეპეშა—25 მანეთი სიტყვა.

— ბრიტანეთის მთავარ კომისარმა აცნობა საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ ბრიტანეთის კონსულის დროებით მოვალეობის აღმასრულებლად თბილისში დანიშნულია გ. ფ. ვოლტინი.

— ვასილი იოსების-ძე არეშიძე და ნინა დავითის ასული გაბუნია იცნობებიან, რომ კვირას, 28 ნოემბერს, 12 საათზე, გარდაცვალების წლის თავზე იქნება გადახდილი პანაშვიდი კუკიის სასაფლაოზე, ოლღა დავითის ასულის გაბუნია-არეშიძისა.

# მუშათა ცხოვრება ჩვენში

**ტრამვაის მოსამსახურეთა შორის.**

12 ნოემბერს ტრამვაის დეპოში დირექტორმა გამოაკრა იმ პირთა სია (რიცხვით 67 კაცი), რომელნიც უნდა დაეთხოვნათ სამსახურიდან შტატის შემცირების გამო. ამ მუშებს აცნობებდენ, რომ ისინი 13 ნოემბრიდან არ იქნებიან სამსახურში და ჩააბარონ სადაც ადგილია ყოველგვარი იარაღები და ხელსაწყოები.

ამ სიის წაკითხვის დროს ნათელი იყო, რომ სამსახურიდან დაითხოვეს, არა შრომის უნარ დაკარგული მუშები, არამედ პარტიული ამხანაგები, და ეს გაწმენდა დირექციის სურვილი კი არ არის, არამედ მენშევიკების პარტიის მიერ მოწყობილი. ასე რომ სიაში მოხვდენ ყველა ისინი, ვინც მოითხოვდა თავის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას.

გასაკვირი არ არის როდესაც კაპიტალისტი ან მექარხნე გაიღებს ასეთის მუშას ხელს, როდესაც მას სურს: მაგრამ რა დავუძახოთ იმ ფაქტს, როდესაც პარტია რომელიც თავის თავს უწოდებს სოც.-დემ. მუშათა პარტიას, შუა ზამთარში ისვრის მშიერ მწყურვალ მუშებს ქუჩაში, მხოლოდ იმისათვის რომ მათ არ სურთ ატარონ ჯიბით სოც. დემ. პარტიის მოწმობა.

ტრამვაელი.

**ქარაქის და ყველის ქარხნის მუშები.**

ისეთ უბედურ და აუტანელ პირობებში არა მგონია მოიპოებოდენ სადმე მუშები, როგორშიაც იმყოფებიან ალექსანდროვკისა და დემერბულახის კარაქისა და ყველის ქარხნის მუშები.

მათთვის არ არსებობს არც განსაზღვრული სამუშაო დრო და არც კვირაუქმე, მუშაობა განუწყვეტლივ 24 საათი სწარმოებს. მათი ხელფასი 3000—4000 მანეთს არ აღემატება, იმ დროს, როდესაც აქ ფუთი ხორბალი სამი ათასი მანეთი ფასობს და ამასაც ვერ შოულობენ.

ჟურნალ-გაზეთები და სხვა კულტურული დაწესებულება, მათთვის ხომ უცხო ხილია, ამით რა თქმა უნდა სარგებლობენ ქარხნის მესაკუთრენი და უზომო ექსპლოატაციაში აღშობენ საბრალო მუშებს.

დროა აქაურმა მუშებმა შეიგნოს, რომ ძალა თვითონ მათში და მათ შეკავშირებაშია.

გ. ციმბარელი.

**მთავარი სახელოსნოები.**

დღეს ჩვენს წინაშე სდგება ამოცანა, რომლის გამოყვანებზე თავს ვიმტვრევთ დღიური მუშები. უნდა ვსთქვათ ჯერ ერთი—რა მოიპოვება მუშამ? მე მგონია

